რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია.
პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

პარასკევი, 9 მარტი 1918 წ.

# ჩვენი ბრძოლა

ყოველდღიური გაზეთი.

№ 2

ფასი 15 კ.

გაზეთი გამოდის ყოველდღე. ფული, კორესპონდენციები და სხვა ყოველგვარი წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Кутаисъ, Воронцовская ул., „Лампари"—Михаилу Медзмаріашвили для газ. „Чвени Брдзола". განცხადებები დაიბეჭდება მხოლოდ უკანასკნელ გვერდზე და სტრიქონი პეტიტის ღირს 20 კაპ იკი.

ცალკე ნომერი ყველგან 15 კაპ.

ორგანო დასავლეთ ამიერ-კავკასიის ორგანიზაციების რუსეთის სოც.-დემ მუშათა პარტიის (ბოლშევიკების).

8 მარტიდან ქ. ქუთაისში გამოდის ყოველდღიური გაზეთი

„ჩვენი ბრძოლა".

ხელის მოწერის პირობები:

| | | | |
|---|---|---|---|
| ერთი წლით | 40 მ. | ორი თვით | 6 მ. 50 კ. |
| ექვსი თვით | 20 მ. | ერთი თვით | 3 მ. 50 კ. |
| სამი თვით | 10 მ. | ცალკე ნომერი | 15 კ. |

მისამართი: Кутаисъ, Воронцовская ул., „Лампари"—Михаилу Медзмаріашвили для газеты „Чвени Брдзола".

## რედაქციისაგან.

**ამხანაგებო მუშებო და გლეხებო! გაზეთი „ჩვენი ბრძოლა" საკუთარი თქვენი ორგანოა. თითოეული პარტიული ორგანიზაცია და ყველა შეგნებული მუშა და გლეხი ვალდებული არიან „ჩვენი ბრძოლის" რედაქციასთან მუდმივი და განუწყვეტელი კავშირი იქონიონ და მას ყოველნაირათ დაეხმარონ. ყოველივე თქვენი შენიშვნა, ყოველივე თქვენ მიერ მოწერილი ამბავი ანუ კორესპონდენცია მუშების და გლეხების ცხოვრებიდან დიდი ყურადღებით იქნება მიღებული და გამოქვეყნებული.**

## ბათუმის ფლოტზე „გამარჯვება".

ბათუმი განსაცდელშია, მას ეპოტინებიან სტამბოლის იმპერიალისტები და აჭარლების ბეგების თვითგამორკვევის სახით უნდათ ხელთ იგდონ ეს არსებითად ინტერნაციონალური ქალაქი. ჩვენი პარტია ყოველ პირობებში ხალხთა თვითგამორკვევის პრინციპის მომხრეა, მხარს უჭერს აჭარის მშრომელ ხალხის თვითგამორკვევასაც, მაგრამ ბათუმის ბედს აჭარლების თვითგამორკვევას ვერ დაუკავშირებთ. ბათუმის თავისუფალ ქალაქათ გამოცხადებას კიდევ შეურიგდებოდით, მის მოწყვეტას ამიერკავკასიაზე კი არას შემთხვევაში. ამიტომ ჩვენი პარტიის ბათუმელი ორგანიზაციამ თანხმობა განაცხადა ბათუმის თავდაცვაში მონაწილეობის მიღებაზე. მაგრამ ბათუმის დაცვა უფლოტოთ ოცნებაა, ზღვა კი „ცენტროფლოტის" ხელშია; სევასტოპოლია შავი ზღვის ბატონ პატრონი. ბათუმში კი რამოდენიმე ნაღმოსანი და ერთი კრეისერი იყო, საჭირო იყო ცენტროფლოტის აზრის გაგება, მასთან შეთანხმება, რომ ბათუმის სამხედრო ფლოტის ძალა გაედიდებია. ამ მოსაზრებით, მეზღვაურებთან მოლაპარაკების შემდეგ სევასტოპოლში გაიგზავნა ამხანაგი. იმავე დროს დადგა საკითხი სამხედრო გემების კომანდის შემცირებით გამოწვეულ უხერხულ მდგომარეობის შესახებ. ფლოტის დემობილიზაცია კაი ხანია გამოცხადებულია, ბევრი მატროსი გათავისუფლებულ იქნა, გემეზე ერთი მესამედიც აღარ იყო უკანასკნელ ხანს. დარჩენილ მეზღვაურებმა საერთო კრებაზე გადასწყვიტეს წასულიყვენ სევასტოპოლში, იქ შეევსოთ კომანდა და მერე დაბრუნებულიყვენ. უამისოთ კი მათი ბათუმში ყოფნა უაზრო იყო და ბათუმისათვის გამოუსადეგარი. ბათუმლები ცდილობდენ, და ჩვენი ამხანაგები ყველაზე მეტს, მატროსები დაეჯერებიათ რომ არ წასულიყვენ და დაითანხმეს კიდეც — მატროსებმა მხოლოდ დელეგატები გააგზავნეს სევასტოპოლში, უცდიდენ როგორც ძალებით დახმარებას, ისე „ცენტროფლოტის განკარგულებას, თუ როგორ მოქცეულიყვენ. მაგრამ არ დასცალდათ ულტიმატუმი, ფორტების ზარბაზნების გრიალი, ალყის შემორტყმა, დატყვევება და სხვ. — აი რის მოწამე გახდა ბათუმის სამხედრო ნავთსადგური დილით ნ მარტს. „ბრწყინვალე გამარჯვება, ფლოტის ხელში ჩაგდება, ვაჟკაცობისათვის გენერლობის და პოლკოვნიკობის ბოძება" — ყოველივე ეს საზეიმო დეპეშები ეგებ გული ფხანდეს ზოგიერთ მუშტი კრივის გუნებაზე მოსულ „რევოლიუციონერს", მაგრამ ბათუმის ბედი, მთელი ამიერკავკასიის ახლო მომავალი, უმჯობესდება თუ უარესდება ორიოდე უვარგისი გემის ხელში ჩაგდებით? რა პირით წარსდგება ბათუმის ზღვაოსნების დელეგაცია „ცენტროფლოტის" წინაშე და რა სანუგეშო ამბავს ჩამოუტანს ბათომლებს და საზოგადოთ ამიერ-კავკასიელებს? და რის მაქნისი იქნება ქართველების „ფლოტი", ორიოდე ნაღმოსნიდან და ტრანსპორტებიდან შემდგარი, თუ ის ცხვირს ვერ გამოყოფს ზღვაში „ცენტროფლოტის" ძალების შიშით? წინეთ თუ საფრთხე მოელოდა, როგორც ბათუმს, ისე მთელ დასავლეთ ამიერკავკასიას, დღეს ეს საფრთხე უკვე თვალწინ გვიდგას. უნდა ველოდეთ გემების მიმოსვლის შეწყვეტას, საქონლის მოზიდვის შეჩერებას, შიმშილობის ზრდას და თან სამარ საშუალებების აღმოფხვრას. ეს მოგვცა აღვილი გამარჯვებებით თავბრუ მორეულ „ობორონცების" აღვირწახსნილობამ. დათვი ტყის მეფეთ დასვეს, მან კი პინჭრაქა გათხლიშა; სწორეთ ასე იქცევიან ჩვენი უჩინო „სარდლები", რითაც ქვეყნის და რევოლიუციის დასამარებას ხელს უწყობენ.

## პრესა.

ქუთათური სოციალისტ-რევოლიუციონერების გაზეთი ეხება ამიერ-კავკასიის მომავალ მთავრობას, რომლის შედგენა მანდობილი აქვს სეიმის მიერ ე. გეგეჭკორს, და სამართლიანათ შენიშნავს:

. . . ახალი მთავრობა ამიერ-კავკასიის კომისარიატის მეორე გამოცემა იქნება. ჩხეიძის წერილში თუმცა ბუნდოვანათ, მაგრამ მაინც ის აზრი არის გატარებული, რომ მომავალი მთავრობა იქნება კოალიციონური. იქ თავს მოიყრიან სოციალისტები, ნაციონალისტები, ფეოდალური მიწათმფლობელობის წარმომადგენელნი და მიწის სოციალიზაციის მომხრენი. როგორც რუსეთის პრაქტიკამ დაგვანახა ასეთ მთავრობას არ შეუძლია აწარმოოს ორგანიული რევოლიუციონური მუშაობა, რადგან ნათქვამია „въ одну телѣгу впрячь не можно коня и трепетную лань".

ასეთი მთავრობა იქნება მთავრობა გამუდმებული რყევისა და ყოყმანის ასეთი მთავრობა ვერ შესძლებს დაიმსახუროს ფართო მასის სიმპატიები, სხვათ უამისოდ კი ყოვლად შეუძლებელია დაემძლიოთ ის საშიში კრიზისი, რომელსაც ჩვენი ცხოვრების ყოველი დარგი განიცდის ..

შემდეგ გაზ. აღნიშნავს, რომ სოფლის მუშებისათვის მენშევიკების მიწის კანონმა დააკანონა მიწაზე მხოლოდ იჯარა და დასძენს:

ცხადია, თუ სეიმის და ახალი მთავრობის მოქმედება ამ პოლიტიკის გაგრძელება იქნება, ის ვერ შესძლებს მშრომელი მასის მოთხოვნილების დაკმაყოფილებას, იქნეს მისი ინტერესების და იმედების ჭეშმარიტი და რევოლიუციონური გამომხატველი.

ცხადია ისიც, რომ ასეთ მთავრობაში ჩვენ არ უნდა შევიდეთ. მთავრობაში, რომლის ცხოველ მოღვაწეობას ჩვენ არ გვწამს, ჩვენ მონაწილეობა არ შეგვიძლია.

ჩვენ დიდათ ვაფასებთ ამ. ე. გეგეჭკორის რევოლიუციონურ მოღვაწეობას, მაგრამ მის წინადადებას მთავრობაში შესვლის შესახებ, ჩვენ მხარს ვერ დაუჭერთ, რადგან მომავალი მთავრობის ჭრელ შემადგენლობაში სტატისტების როლი ჩვენთვის მიუღებელია.

რამდენათაც ვიცით „რევოლიუციონერი" გეგეჭკორი არც აპირებს ხელახლა მიწვევას სტატისტების ალაგზე ჩვენებურ სოც.-რევ., რომელნიც მთელი წლის განმავლობაში მშვენივრათ გრძნობდენ თავს, როგორც გეგეჭკორის, ისე ხან-ბეგების გვერდით. ახლა ეს-ერები „აგდებული" ჰყავთ მთავრობის მასულდგმულებელ პარტიებს და ისინიც ერკვევიან და, თუმც გვიან, მაინც მიმხვდარან, რომ სტატისტის როლი სამარცხვინოა. ჭეშმარიტათ, მდგომარეობა ქმნის შეგნებას.

## ამიერ-კავკასიის სეიმი.

რუსეთის რევოლიუციამ ძირს ჩამოაგდო ძველი მთავრობა კავკასიაშიც. მეფის თვითმპყრობელობის მემკვიდრეთ მშრომელი ხალხი-მუშა, გლეხი და ჯარის-კაცი უნდა გამხდარიყო, ძალა-უფლება თვითმპყრობელ ხალხის ხელში უნდა. გადასულიყო, მაგრამ კავკასიის მენშევიკებმა რევოლიუციის მამოძრავებელ ძალათ მეშათა კლასთან და ჯართან ერთად მშრომელი ხალხის მუდმივი მტერი ბურჟუაზიაც გამოაცხადეს და აფრინეს დეპეშა პეტროგრადს, ბურჟუებისა და მსხვილ მემამულეთაგან შემდგარ დროებით მთავრობას სთხოვდენ გამოეგზავნათ კავკასიისათვის საგანგებო კომ. თითქო კავკასიის მშრომელი ხალხი ვერ შესძლებდა თავისი ბედის მჭედელი თითონ ყოფილიყო. იქიდანაც მოართვეს ე. წ. ამიერ-კავკასიის საგანგებო კომისარიატი, რომელშიაც შედიოდა ერთი რუსი კადეტის პარტიისა, ერთი სომეხი, ერთი მუსულმანი, ერთი ქართველი ნაციონალისტი კ. აბაშიძე, და ამ ერთიანათ ნაციონალისტურ კამპანიას მხარს უმშვენებდა მენშევიკი აკ. ჩხენკელი, რომელიც შორს არ იყო და არის დაცილებული აშკარა ნაციონალისტებზე. ნახევარი წელიწადი მართავდა ეს კომისარიატი

ამიერ-კავკასიას, ვითომ და რევოლიუციონურ ორგანოების კანტროლს ქვეშ. მარა როგორი იყო ეს მართვა-გამგეობა ეს იქიდან სჩანს, რომ თვით მენშევიკებმა და მათ მოკავშირე სოც. რევოლიუციონერებმა მოითხოვეს მისი გადაყენება. როცა რუსეთში მეორე რევოლიუცია მოხდა და ძალა-უფლება მუშა-კლასის და რევოლიუციონურ ღარიბეს გლეხობის ხელში გადავიდა, ჩვენმა ნაცარ ქექია რევოლიუციონერებმა და გახუნებულ სოციალისტებმა ზურგი შეაქციეს რუსეთის მუშა-გლეხის რევოლიუციას. ჩამოაშორეს ამიერ-კავკასია რუსეთს და სახანგებო კომისარიატის მაგიერ აირჩიეს ე. წ. ამიერ-კავკასიის კომისარიატი. მართალია რევოლიუციონურ ორგანოს მუშათა, გლეხთა და ჯარის კაცთა საბჭოების ცენტრის მიერ მირონცხებული იყო ეს კომისარიატი, მაგრამ არაფრით განირჩეოდა თავის წინაპარისაგან. თათრის მემამულეები, ბეგები და ხანები, სომხის მსხვილი, შოვინისტური ბურჟუაზიის წარმომადგენელნი, ქართველი ნაციონალისტების ბელადები, აქ ხელი-ხელ გადაკიდებული იყვნენ მენშევიკ-სოც. რევოლიუციონერებთან. ამიერ-კავკასიაში შემოიღეს სწორეთ ის კოალიცია, ის ერთი კავშირი ხალხის და რევოლიუციის მტრებთან, რომელმაც რუსეთი კინაღამ დაღუპა და რომელმაც აუცილებელი გახადა ოქტომბრის რევოლიუცია. თუ რა გააკეთა ამ კომისარიატმა ხალხის საკეთილდღეოთ და რევოლიუციის განამტკიცებლათ, ეს დღეს ყველამ იცის: სრული არევ-დარევა, ანარქიამ მოიცვა ჩვენი კუთხე, მშრომელი ხალხი სასოწარკვეთილებაში ჩავარდა, გარდა შიშველი „დეკლარაციებისა", მას არაფერი მიუღია და ხშირათ ამ უბრალო პოლიტიკური თავისუფლებით სარგებლობაც, თავისუფალი სიტყვა თავისუფალი შეკრება, მას სისხლით უჯდება. როცა კომისარიატის ასეთ სანაქებო მოღვაწეობამ ასეთი შედეგი მისცა ხალხს, როცა ყველასათვის აშკარა შეიქნა, თუ რა ღირებულებას წარმოადგენს ე. წ. „რევოლიუციის მონაპოვარი", კომისარიატი გაცვეთილ იარაღათ იქნა აღიარებული თვით მის მომავლინებელის მიერ. ჩვენ არც ნდობა და ავტორიტეტი, არც ნდობა და ავტორიტეტი არც ძალა და გავლენა ხალხში არა გვაქვსო, ჰაერშივართ გამოკიდებულიო; თან ჩვენ არჩეული ვიყავით მხოლოდ მანამდის, სანამ რუსეთის დამფუძნებელი კრება შედგებოდაო და რაკი დამფუძნებელი კრება დაშლილ იქნა ახლა სხვა საფუძველზე უნდა მოეწყოს მთავრობა და კანონმდებლობაო. ერთი სიტყვით დააპირეს ყრუ ორღობეში გადახვევა და გაძრომა. საფიქრელი იყო, რომ ცენტრი ან თითონ აიღებდა მთელს ძალა-უფლებას, ამიერ-კავკასიის ბედ-იღბალს, მსგავსად რუსეთისა, მიაკუთვნებდა მშრომელ ხალხის რევოლიუციონურ წარმომადგენლობას, ან და, თუ „რუსული ენა", საბჭოების ძალა უფლების აღიარება მისთვის შეუძლებელი იყო, ბოლშევიზმის აჩრდილი მას ცახცახს გვრიდა, ამიერ-კავკასიის დამფუძნებელი კრების მოწვევას გადასწყვეტდა. ყოველ შემთხვევაში აუცილებელი იყო მუშათა, გლეხთა და ჯარის-კაცთა სასწრაფო სიეზდის მოხდენა, რომ თვით მშრომელ მასსას გადაეწყვიტა მეტათ მნიშვნელოვანი, უდიდესი საკითხი მთელი ამიერ-კავკასიის დემოკრატიისა. მაგრამ ცენტრის გენერლებმა ნამდვილი ჩინოვნიკურათ გადასჭრეს ეს საკითხი, საბედისწერო საკითხი მათ გამოახლეს მემარჯვენე ეს-ერის დონსკოის პროექტი იმის შესახებ, რომ უსაქმოთ დარჩენილ სრულიად რუსეთის დამფუძნებელ კრების წევრებათ ამიერ-კავკასიიდან არჩეულების შეკრება და მათგან შედგენა კანონმდებელ დაწესებულებისა, რომელსაც სახელათ ქვია სეიმი. ისევ კოალიცია თათრის ბეგებ ხანებთან, სომხის ბურჟუაზიასთან და ქართველ ნაციონალისტებთან. სხვა სიტყვით ჩვენებური უპირო რევოლიუციონერებს და, უკაცრავი მოხსენება, სოციალისტებს არ გამოაჩნდათ რუსეთისათვის უხვობას იჩენდენ და მოითხოვდენ ერთფეროვან სოციალისტურ მთავრობას, შინ კი გულში ეკვროდენ სოციალიზმისა და რევოლიუციის მოსისხლე მტრებს.

გამართეს თათბირი, მაგრამ რა დაწესებულება, თუ არა, სამასხარო, უნდა შედგენით სამი ათეული უმუშევრათ დარჩენილ დეპუტატებისაგან; ამიტომ გაყვეს დეპუტატების მიერ მიღებული ხმა არჩევნებზე, გაამრავლეს გამოკლეს მოუმატეს და ასე არითმეტიკური მოქმედებით მოგვივლინეს ამიერ-კავკასიის სეიმი, რომელშიაც სულ, თუ არ ვცდები, ორმოცდაათი სოციალისტია, მენშევიკ-ესერების ჯამშია, არ არის, ორჯელ მეტი კი ბურჟუაზიის და პომეშჩიკების დამცველები მოხვდენ. ჩვენი პარტია, მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა რევოლიუციონური ინტერესებისათვის მებრძოლი, რასაკვირველია ასეთ კეკმალულობის თამაშში, მონაწილეობას ვერ მიიღებდა, ვინაიდან ბურჟუაზია მემამულეებთან ყოველგან და ყოველთვის ბრძოლაა საჭირო და არა შეთანხმება პოლიტიკურათ და სოციალურათ დამმონებლება. ამიტომ ჩვენი ამხანაგები არ შესულან და არც შევლენ იმ საფარეხოში, სადაც, როგორც ზოგიერთ გზაკვალ აბნეულთ ჰგონიათ, მგელი და ცხვარი ერთად იძოვებენ.

(დასასრული იქნება)

# ქრონიკა.

გაფიცვა სამკურნალოს მუშების. ვინაიდგან ქუთაისის პირველ კერძო სამკურნალოს დირექციამ არ მოისურვა დაეკმაყოფილებია მოსამსახურეთა მეტის-მეტათ მინიმალური და აუცილებელი მოთხოვნილებანი, ამიტომ აღნიშნულ სამკურნალოში, 7 მარტიდან გამოცხადებულია საერთო გაფიცვა მოთხოვნილების სავსებით დაკმაყოფილებამდის. მაგრამ, რომ სამკურნალოში მწოლიარე ავათმყოფთ საშუალება ექნეთ—დაუბრკოლებლივ და უვნებლივ გამოეწერონ სამკურნალოდან და ფართო საზოგადოებაც წინდაწინვე გაეცნოს აღნიშნულ სამკურნალოში მოსალოდნელ მუშაობის შეწყვეტას, ამიტომ გაფიცვა ფაქტიურად განხორციელდება 15 მარტიდგან, მანამდე კი მოსამსახურენი ჩვეულებრივად განაგრძობენ მწოლიარე ავათმყოფთა მოვლას და უეცარ შემთხვევების დროს პირველ დახმარების აღმოჩენას. გაფიცულთა ადგილები ბოიკოტ ქვეშ არის გამოცხადებული.

ქუთაისის მუშათა პროფესიონალურ კავშირების ცენტრალური საბჭოს სეკრეტარიატი.

ქ. ქუთაისის მილიციის შესანახათ ითხოვენ ერთ-მილიონ ექვსასათას მანეთს.

ქ. არდაგანი ადგილობრივ მუსულმანებს ჩაუგდიათ ხელში.

## მიწის საკითხი და რევოლუცია.

რუსეთის რევოლიუციის ერთ უდიდეს მამოძრავებელ ძალათ ითვლებოდა და ითვლება დღესაც ღარიბესი გლეხობა, რომელიც მცხოვრებთა დიდ უმრავლესობას შეადგენს.

პროლეტარიატის შემდეგ რევოლიუციის მოხდენაში არსებითათ დაინტერესებული იყო და არის გლეხკაცობა, ვინაიდან მხოლოდ რევოლიუციას შეუძლია მიანიჭოს მისთვის მიწა.

1917 წლის რევოლიუცია დაიწყო პეტროგრადის პროლეტარიატმა, მას მხარი დაუჭირა პეტროგრადის ჯარმა. ამით დამხობილ იქმნა მეფობა.

ეს იყო რევოლიუციის დასაწყისი, რაც შედარებით უსისხლოთ ჩატარდა. ბევრს ეგონა, რომ რევოლიუცია რუსეთში დაიწყო და დამთავრდა კიდეც და გაოცებას ეძლეოდენ იმის გამო, რომ ეს უდიდესი რევოლიუცია თითქმის სისხლის დაუღვრელათ მოხდა. ეგონათ, რომ რევოლიუცია მარტოოდენ გარეგანი პოლიტიკური ცვლილებაა, რომ ის თითქოს სრულებით არ ეხება საზოგადოებრივ ურთიერთობას. თითქო დაივიწყეს კიდეც, რომ რევოლიუციამ უნდა გადაჭრას ის კლასების სოციალური კითხვები, რომლებიც ამ რევოლიუციის მატარებელნი და, რომლებიც მის მამოძრავებელ ძალას შეადგენენ. დაივიწყეს ის, რომ რევოლიუცია კლასობრივი ბრძოლის ანუ სამოქალაქო ომის უმაღლეს წერტილამდე გამწვავებაა.

ერთი სიტყვით, რევოლიუციის შეუჩერებელი მსვლელობა წინ, ანუ მისი გაღრმავება და გაფართოება შეუძლებელი იყო უამისოთ, რომ კლასსობრივი ბრძოლა არ გამწვავებულიყო, რაც სამოქალაქო ომის გაჩაღებას ნიშნავდა.

ჩვენ თავი უნდა დავანებოთ იმაზე ლაპარაკს, იყო სასურველი, თუ არა კლასობრივი ბრძოლის გამწვავება ან სამოქალაქო ომის გაჩაღება: ჩვენ უნდა მივიღოთ მხოლოდ ის, რომ ყოველივე ეს აუცილებელი იყო. ასე უნდა ეფიქრა ყველა ნამდვილ რევოლიუციონერს, და განსაკუთრებით იმათ, ვინც რევოლიუციის სათავეში მოექცა.

ერთი სიტყვით, ჩვენ ვამბობთ, რომ რევოლიუციის საშუალებით მთელი ძალა-უფლება მქონებელ და გაბატონებულ კლასსებიდან, ე. ი. კაპიტალისტებიდან და მემამულეებიდან, პროლეტარიატის და ღარიბესი გლეხობის ხელში უნდა გადასულიყო. ამას თხოულობდა ხალხის დიდი უმრავლესობის არსებითი ინტერესები. ვინც გაიძახოდა და გაიძახის დღესაც, რომ რევოლიუციის მოხდენაში ყველა კლასსები იყვნენ დაინტერესებული, ისინი ან გულუბრყვილოთ ცდებიან, ან განზრახ სიყალბეს ჩადიან, ვინაიდან ყველასათვის აშკარა უნდა იყოს ის გარემოება, რომ გაჭირვებული გლეხი და მემამულე, კაპიტალისტი და მუშა ერთნაირათ ვერ იქნებოდენ დაინტერესებული რევოლიუციით. კაპიტალისტები და მემამულეები კარგათ გრძნობდენ, რომ რევოლიუცია მათ წაართმევს არა მარტო ძალა-უფლებას, არამედ კაპიტალს და მიწას, რომლის საშუალებით ისინი ხალხს იმონებდენ. ამიტომაც იყო, რომ კაპიტალისტებმა და მემამულეებმა ნიკოლოზის ტახტიდან ჩამოგდების შემდეგ, როცა ძალა უფლება სავსებით იმათ ჩაუვარდათ ხელში, მუშებთან და გლეხებთან შერიგების და თანხმობის ქადაგება იწყეს. ასეთ ტაქტიკას თხოულობდა იმათი კლასობრივი ინტერესები.

ისინი სამართლიანათ ფიქრობდენ და იმედოვნებდენ, რომ თუ იმათ ძალა უფლება შერჩებათ ხელში, მუშებს და გლეხებს თავის სურვილიდან ნაფიქრებს გადაუგდებდენ, და შესაძლებელი იყო, ამ ხერხით იმათ მუშები და გლეხები ჩაეჩუმებიათ და თავისი მდგომარეობის შენარჩუნება უზრუნველეყოთ.

თუ კაპიტალისტები და მემამულეები ამ თავის საწადელს განახორციელებდენ, იმ შემთხვევაში ისინი შესძლებდენ ერთ და იმავე დროს მუშების და გლეხების დატყუილებასაც და რევოლიუციის ჩაქრობასაც.

მაშასადამე, კაპიტალისტების და მემამულეების კონტრ-რევოლიუციონური განზრახვა და სულისკვეთება ყველასათვის ცხადი უნდა ყოფილიყო. მაგრამ, მიუხედავათ ამისა, მენშევიკებმა და სოც.-რევოლიუციონერებმა თითქმის სავსებით გაიზიარეს კაპიტალისტების და მემამულეების თვალთახედვის წერტილი.

ისინი, განსაკუთრებით მენშევიკები, ამტკიცებდენ, რომ რუსეთის დღევანდელი რევოლიუცია წმინდა ბურჟუაზიულია, და როგორც ასეთმა, მან უნდა განამტკიცოს და გაამაგროს ბურჟუაზიული წყობილება, რომელიც დაყრდნობილია კერძო საკუთრებაზე და დაქირავებულ შრომაზე. ასეთი შეხედულების და ტაქტიკის მავნებლობა გამოიხატა ყველაზე უფრო მიწის საკითხის გადაჭრის საქმეში. კაპიტალისტები და მემამულეები, ერთი მხრით, და მენშევიკები და სოც.-რევოლიუციონერები მეორე მხრით, შეთანხმდენ იმაში, რომ მიწის საკითხი უნდა გადაიჭრას დამფუძნებელ კრებაზე, მანამ კი სოფლად გლეხებსა და მემამულეებს შორის უნდა დაცულ იქნას არსებული წესები. იმავე დროს დამფუძნებელ კრების მოწვევას კი შორს დებდენ.

ამ ტაქტიკის სავსებით გატარება ცხოვრებაში ნიშნავდა რევოლიუციის ერთი უდიდესი მამოძრავებელი ძალის რევოლიუციისათვის ჩამოშორებას, რაც იმავე დროს მოასწავებდა რევოლიუციის შეფერხებას, მასში დეზორგანიზაციის ანუ ანარქიის შეტანას. ყოველ შემთხვევაში ეს ხელსაყრელი იყო კონტრ-რევოლიუციისათვის და სავნებელი რევოლიუციისათვის.

(შემდეგი იქნება).

# რევოლიუციონური რუსეთი

### გენ. კალედინის ანდერძი.

როგორც ვიცით, დონის კონტრ-რევოლიუციის სულის ჩამდგმელმა და მეთაურმა გენ. კალედინმა, თავი მოიკლა, როცა მისთვის აშკარა შეიქნა საბჭოების რევოლიუციონური ჯარების მძლეთა-მძლეობა. თვითმკვლელობის წინ მან წერილი დაუტოვა თავის მეგობარს და თანამებრძოლ გენ. ალექსეევს, რომელიც რუსეთის კონტრ-რევოლიუციის სარდალია. აი ეს წერილი:

„დიდათ პატივცემულო გენერალ ალექსეევო. მთელი ყაზახობის სურვილით ბედმა გარგუნათ თქვენ წყნარი დონის მხარის ბედ-იღბალი და მოგანდოთ მხარის გაწმენდა ბოლშევიკებისაგან, რომლებსაც სძულთ თავისუფალი და სალი ყაზახობა, და რომლებიც მტერი არიან ეროვნებათა ყოველგვარ თვითგამორკვევისა. თქვენი მხურვალი ტემპერამენტით და მხიდრული მამაცობით, თქვენ თამამათ შეუდექით საქმეს და დაუწყეთ დევნა ბოლშევიკ-ჯარის-კაცებს დონის ტერიტორიაზე. თქვენ სასოწარკვეთილებით და მამაცათ იბრძოდით, მაგრამ ანგარიში არ გაგიწევიათ იმ გარემოებისთვის, რომ ყაზახობა მისდევს თავის მოთავეებს მხოლოდ მანამდის, სანამ ამ მოთავეებს ძისთვის გამარჯვების გვირგვინების მოპოება შეუძლიათ; თუ კი მდგომარეობა გართულდა, ყაზახობა თავის წინამძღოლებში სულით და შთამომავლობით კაზაკს კი აღარ სცნობს, არამედ თავიანთ ინტერესების სუსტ დამცველს, და ზურგს აქცევს მათ. ასე მომივიდა მე, ასევე მოგივათ თქვენაც, თუ ვერ შესძელით მტრის დამარცხება. მაგრამ კაზაკების ინტერესები ჩემთვის ძვირფასია და გთხოვთ უკუაგდოთ აზრი ბოლშევიკების დამარცხებისა მთელს რუსეთში.

კაზაკებს ესაჭიროებათ თავისუფლება და მყუდროება; გაანთავისუფლეთ წყნარი დონის მხარე გველისაგან. ჩერე კი ააშორეთ სისხლის ღვრა ჩემს საყვარელ კაზაკებს. მე მივდივარ საიქიოს, მიპატიებია თქვენთვის ყველა ის შეურაცყოფა, რაც თქვენ მოგიყენებიათ ჩემთვის თქვენი ჩვენს წრეში გამოცხადების შემდეგ.

თქვენი პატივსცემული კალედინი.

გენ. ალექსეევმა ვერ შესძლო კალედინის ანდერძის შესრულება „გველის" გასრისვის მაგიერ, თითონ შეიქნა იძულებული წასულიყო წყნარი დონის მხარიდან და მიმალულიყო.

---

რამოდენიმე თვეა რაც ჩვენი მხარე ხელოვნურათ მოწყვეტილია რევოლიუციონურ რუსეთზე, ჩინეთის კედელია ამართული ამიერ-კავკასიისა და მუშა-გლეხთა რუსეთს შუა. მოკლებული ვართ სწორ ცნობებს იქაურ ამბების შესახებ, შემთხვევით თუ მოაწევს ჩვენამდი კვირაში ერთხელ დეპეშა, ან ვინმე იქიდან ჩამოსული გაზეთის ჩამოიტანს. ტრაღედიის განიცდის რუსეთი ავსტრო გერმანელების შემოსევის გამო, რუსეთის რევოლიუციონური დემოკრატია-ლომს ტურა მგლები ალყას არტყამენ და განადგურებით ემუქრებიან; გარეშე მტერს მხარში ამოდგომია შინაური ბურჟუაზია, უკრაინის მდიდარი კლასები, პოლონელთა და ფინლიანდიის ხალხის ზურგზე გასუქებული და რევოლიუციის მოსისხლე მტერი მქონებელი ელემენტები. მათი ვერაგობამ ჩაფუშა ზავის შეკვრა იმ პირობებით, რომლებიც წამოაყენა სახალხო კომისართა საბჭომ ავსტრო-გერმანიამ ჯერ თითქოს თანხმობა განაცხადა ამ პირობებზე, რადგან შინ მუშათა კლასი ამოძრავდა და ხმა აღიმაღლა ზავის სასარგებლოთ, შექმნა მუშათა საბჭოები და საზოგადოთ „რუსული ენით" დაუწყო ლაპარაკი თავის მთავრობას. მაგრამ ვილჰელმის დამქაშებმა ერთხელ კიდევ სძლიეს მუშების მოძრაობა და ჩააქვრეს ტყვიებით რევოლიუციის ალი. და, როცა შინ სასაფლაოს მყუდროება ჩამოაგდეს, სულ სხვანაირათ დაუწყეს საუბარი რუსეთის დელეგატებს. მათი მიზანი იყო რევოლიუციის ალი, რუსეთიდან მომავალი, ჩაექროთ, ან თავის საზღვრებიდან შორს გადაეგდოთ.

წაუყენეს რუსეთს ავაზაკური პირობები, ანექსია და კონტრიბუცია მოითხოვეს, თან ფეხქვეშ გათელეს ერთა თვითგამორკვევის პრინციპი. სახალხო კომისართა საბჭო იძულებული იყო თანხმობა განეცხადებია ამ პირობებზე იმ იმედით, რომ რევოლიუცია თავისას იზამს ახლო მომავალში როგორც შინ ისე საზღვარგარეთ. მაგრამ მიუხედავათ თანხმობისა, ავსტრო გერმანელებმა შეტევა იწყეს, პოლონელთა და უკრაინელთა დახმარებით დაიკავეს მთელი რიგი ქალაქებისა, სადაც თვითმპყრობელობის წესები აღადგინეს და პირველ ყოვლისა ხვრეტდენ ბოლშევიკების პარტიის მოღვაწეებს. გერმანელთა ჯარს წინ მოუძღოდა პრინცი ალექსანდრე გესსენელი, ძმა ნიკოლოზ მეორის ცოლისა.

პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭომ აირჩია რევოლიუციის სატახტო ქალაქის რევოლიუციონური თავდაცვის კომიტეტი 15 კაცისგან შემდგარი 9 თებერვალს, და მოუწოდა მუშათა კლასს და გარნიზონს იმდგარიყვენ სოციალისტურ რუსეთის დასაცავათ. 11 თებერვალს ცენტრ. აღმასრ. კომიტეტმა 116 ხმის უმეტესობით 85 წინააღმდეგ" (26 თავი შეიკავა) მიიღო გერმანიის მთავრობის საზავო პირობები. მუშები და ჯარის კაცები აღფრთოვანებით ეწერებოდენ მოხალისეთა რაზმებში. მალე ცნობა მოვიდა ქ. პსკოვის დაკავების შესახებ. რევოლიუც. კომიტეტმა გამოაცხადა საყოველთაო მობილიზაცია ყველა მუშებისა და მუშა ქალებისა, რომელნიც საბჭოების ძალაუფლებას მხარს უჭერენ.

ღამის 10 საათზე პეტროგრადის ყველა ფაბრიკა-ზავოდების საყვირები აღმუვლდენ, გათენებამდი უხმობდენ მუშებს. იმ ღამით შესდგა მუშათა არმია, 60 ათასი კაცისაგან; დაუყონებლივ წავიდენ ფრონტზე.

მოხალისეები იმდენი იყო, რომ ვერ ასწრებდენ მათ შეიარაღებას და განაწილებას. წითელი პეტროგრადი ფოლადის ჯაგარით აიბურძგლა, უომრათ ის არ დაუთმობდა მტერს რევოლიუციის ბუდეს. შესდგა აგრეთვე ნაციონალური პოლკები ფინების, ესტონელების, ლატიშელების, მაჰმადიანების სოციალისტური სამშობლოს დასაცავათ გერმანელ კაიზერების წინააღმდეგ. ცალკე ნაწილი შეადგინეს ინგლისის და ამერიკის ემიგრანტებმა და ასეთი საერთო აღფრთოვანების, საერთო აღტყინების შემდეგ, არავითარი ცნობ არ არის იმის შესახებ—რა მოუვიდა წითელ პეტროგრადს, როდის ან როგორ პირობებში მოხდა შეტაკება სოციალისტურ არმიისა გერმანელი იმპერიალისტების ურდოებთან. ხმები დადის პეტროგრადის დაკავების შესახებ, დანამდვილებით კი არაფერი ვიცით.

სახალხო კომისართა საბჭო, მუშათა, ჯარის-კაცთა და გლეხთა საბჭოების ცენტრ. აღმასრულ. კომიტეტი მოსკოვში გადავიდენ. რაც უნდა იყოს, ერთი ცხადია: ოქტომბრის რევოლიუციას შეებრძოლა მთელი ევროპის ბურჟუაზია

### პიატიგორსკის სახალხო ყრილობა.

პიატიგორსკიდან სახალხო ყრილობის წევრი სარტიშვილი დეპეშით გვატყობინებს: სახალხო ყრილობამ დღეს იცნო სახალხო კომისართა საბჭოს მთავრობა. ყრილობის წევრებმა, კაზაკების წარმომადგენლებმა, ინგუშებმა და კაბარდოელებმა იცნეს ბოლშევიკების ძალა-უფლება.

— განჯიდან გვატყობინებენ; ამ დღეებში განჯაში ჩამოვიდა ბაქოდან ორი ჯავშნიანი მატარებელი წითელგვარდიელებით, რომელმაც მუსულმანების ეროვნულ საბჭოს წინადადება მისცა განეთავისუფლებია ამას წინათ დაჭერილი აფიცრები, ბოლშევიკების სასარგებლოთ აგიტაციისთვის. მოლაპარაკების შემდეგ აფიცრები გაანთავისუფლის. ბრონევიკები ბაქოში დაბრუნდენ.

### ვლადიკავკაზი.

ვლადიკავკაზში საერთოდ სიწყნარეა. კაზაკების ნაწილმა ბოლშევიკური ორიენტიაცია მიიღო და გადასწყვიტა შეურიგდეს ბოლშევიკებს.

### კრონშტადტის საბჭო გერმანელების შემოტევის შესახებ.

კრონშტადტის საბჭომ კატეგორიულად მოითხოვა, რომ რევოლიუციონურ საბჭოების რუსეთმა არ შეკრას ზავი გერმანელ იმპერიალისტების საზავო პირობების მიხედვით და არ შევიდეს არავითარ დამოკიდებულებაში, როგორც ავსტრიის და გერმანიის, ისე ინგლისის, საფრანგეთის და სხვ. იმპერიალისტებთან. მშრომელ ხალხის რევოლიუციონურ რუსეთის ერთად ერთი გზა-ეს შეიარაღებული აჯანყებაა მჩაგვრელების წინააღმდეგ. მშრომელ ხალხის შინაური საქტიკი, ბრძოლა ექსპლოატატორების წინააღმდეგ უნდა გადატანილ იქნას გარეშე ფრონტზედაც მუშათა და გლეხთა სოციალისტურ რევოლიუციის დასაცავათ.

შავი ზღვის ფლოტის ცენტრალურ კომიტეტის ბრძანება 4 მარტიდან თანახმად სახალხო კომისარების საბჭოს დეკრეტისა, სამხედრო მეზღვაურები, რომელნიც სამხედრო სამსახურიდან 1914 წ. უნდა განეთავისუფლებინათ ეხლა თავისუფალნი არიან. ამხანაგებო, როგორც სახალხო კომისარების დეკრეტი გვეუბნება, თქვენ თავისუფალნი ხართ, ყველას, ვისაც სურს შეუძლიან დაბრუნდეს სახლში, რადგან ახალი ფლოტი უარყოფს ყოველგვარ ძალა დატანებელ მთავრობას. და თუ დათხოვნილნი მეზღვაურები არ არიან საჭირო ფლოტისთვის შტატის შემცირების გამო, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ისინი არ არიან საჭირო რესპუბლიკისა და რევოლიუციისათვის და ამის გამო შეუძლიათ თავისუფლად დაბრუნდნენ მშვიდობიან მუშაობას. არა სანამ სახლში დაბრუნდებოდნენ ყველა თქვენთაგანმა უნდა მიმართოს თავის სინდისს და ვალს და დაფიქრდეს—საჭიროა თუ არა ის ბრძოლაში დასავლეთიდან მომავალ კონტრ-რევოლიუციონურ ჯარებთან და თუ თქვენ სახლისკენ არ გიწვევთ რაიმე უკიდურესი მდგომარეობა, მაშინ დარჩით და ჩაეწერნეთ რევოლიუციონურ ჯარსა და წითელ რაზმში.

### ეკატერინოდარის აღება.

დაეცა ეკატერინოდარი. 40 ათასი რევოლიუციონური ჯარი შევიდა ქალაქში. შედგა სამხედრო რევოლიუციონური კომიტეტი.

---

**ამხანაგებო მუშებო, გლეხებო და ჯარის კაცებო! გაავრცელეთ თქვენი გაზეთი. გახსოვდეთ, რომ მხოლოთ თქვენი დახმარებით შეუძლია არსებობა მუშათა გაზეთს.**

---

## სამდროვო წერილები.

### 1 ვინ არიან ბოლშევიკები?

ბოლშევიკების პოლიტიკური მოწინააღმდეგენი სისტემატიურათ შემდეგ იარაღს მიმართავენ იმათ დასამარცხებლათ: ისინი ყოველგან გაიძახიან, რომ ბოლშევიკები ანარქიას ახდენენ, ისინი სწვავენ და ანადგურებენ ყველაფერს, ბოლშევიკები—ყაჩაღები, ხალხის მძარცველები და მკვლელები და სხვა ასეთები. ბოლშევიკების მოწინააღმდეგეთ ასეთი ოინებით სწადია იოლათ გავიდენ ფონს. მეორე მხრით ამით სარგებლობენ ზოგიერთი ნამდვილი არამზადები და ყაჩაღები ბოლშევიკობას ჩემულობენ, რითაც ჩირქს სცხებენ ნამდვილ ბოლშევიკებს. ამიტომ ჩვენი ვალია ავუხსნათ ხალხს თუ ვინ არიან ბოლშევიკები, და რა სურთ მათ.

ბოლშევიკები—ეს ქალაქის და სოფლის მუშებია, რომლებიც შეერთდენ ერთათ და შექმნეს ერთი მუშათა პარტია. ამ პარტიას ეწოდება რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია (ბოლშევიკებისა).

1903 წელს ამ პარტიას ჩამოცილდა ერთი ნაწილი, უმცირესობა (აქედან მათი სახელწოდება „უმცირესნი", ან რუსულათ „მენშევიკები"). მენშევიკები სულ უფრო და უფრო შორდებოდენ მუშათა ოჯახს და უახ-

ლოვდებოდენ მდიდრებს (ბურჟუაზიას). მაგრამ პარტიის უმრავლესობა კი (აქედან მათ სახელწოდება „მეუმრავლესენი“, ანუ რუსულათ „ბოლშევიკები“ მშრომელი ხალხის ერთგული დარჩა. ბოლშევიკები 1903 წლიდან-მუშაობენ მუშების და ღარიბ გლეხების სასარგებლოთ და არასოდეს არ ღალატობენ მათ. ისინი იცავენ მუშების და უმიწაწყლო გლეხების ინტერესებს და მკიდრათ და გაბედულათ ებრძვიან კაპიტალისტებს, მემამულეებს და ბანკირებს.

ყოველ ქვეყანაში ბურჟუაზია დევნის ასეთ პარტიას, ე. ი. რევოლიუციონურ სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას. ამ პარტიის წინამძღოლებს ალპობენ ციხეში, გერმანიაში—კარლ ლიბკნეხტს, ინგლისში—მაკლინს, ავსტრიაში ფრიდრიხ ადლერს. ასეა ჩვენშიც ამიერ-კავკასიაში. ხურავენ მუშათა გაზეთებს, „ბრძოლას“, „კავკაზსკი რაბოჩის“ „ბანვორი-კრივს“, იჭერენ და ციხეებში ამწყვდევენ ბოლშევიკებს და სხვ.

რატომ ეპყრობიან ასე ბოლშევიკებს?—იმიტომ რომ ბოლშევიკებს სურსთ დაამხონ აქაც, ამიერ-კავკასიაში, კაპიტალისტების და მემამულეების, თათრის ბეგების, მთავრობა და გადასცენ მთელი ძალა-უფლება მუშებს და ღარიბ გლეხებს, რომლებიც თავს იყრიან მუშათა და სოფლის ღარიბ მუშათ დეპუტატების საბჭოებში. ამას წინააღმდეგი კი არიან მენშევიკები და მემარჯვენე ესერები, რადგანაც მათ არ სურთ კავშირი გასწყვიტონ კაპიტალისტებთან და მემამულეებთან. ბოლშევიკები იბრძვიან იმისთვის რომ თვით მუშებმა და ღარიბ გლეხებმა აირჩიონ კომისრები, რომლებიც პასუხის მგებლები იქნებიან გლეხების და მუშების წინაშე, მენშევიკები კი ებრძვიან ამას და ნიშნავენ კომისრებს ზევიდან ხალხის დაუკითხავათ.

ბოლშევიკები მოითხოვენ, რომ მემამულეებს ჩამოერთვას ახლავე მიწები უსასყიდლოთ და გადაეცეს ღარიბ გლეხთა დეპუტატების საბჭოებს, რომლებიც გააწესრიგებენ უმიწა-წყლო გლეხებს შორის დასამუშავებლათ. ამას კი სასტიკათ ეწინააღმდეგებიან მენშევიკები, რადგანაც ეს გააბრაზებს მემამულეებსო; მენშევიკებს კი არ სურთ აწყენიონ მემამულეებს, რადგანაც მათთან კავშირში არიან. ამიტომ მენშევიკები არც იმას მოითხოვენ, რომ სოფლებში, სადაც კი არ არსებობს გლეხთა დეპუტატების საბჭო დაარსდეს ასეთი, რადგანაც მაშინ თვით ეს საბჭოები მოაგვარებდენ ძალა-უნებურათ თავიანთ საქმეებს და, განსაკუთრებით, მოაწესრიგებდენ მიწის საკითხს.

ამიტომ დღეს ღარიბმა გლეხებმა, მიწის მუშებმა, თვითონ უნდა უპატრონონ თავიანთ თავს; უნდა დაიარსონ გლეხთა დეპუტატების საბჭოები და შეკავშირდენ მის გარშემო. ამასთანავე ერთად, მათ უნდა გაავრცელონ ღარიბ გლეხებში ის მოძღვრება, რომლის მიმდევარნიც საუკეთესოდ იცავენ ღარიბ გლეხთა და მუშათა ინტერესებს და არასოდეს არ ღალატობენ მათ. ეს კი რუსეთის სოციალ დემოკრატიული მუშათა პარტიის (ბოლშევიკების) მოძღვრებაა და ისინი სწორეთ ამ პარტიაში უნდა ეწერებოდენ. აქედან ჩვენ ვხედავთ, თუ რამდენათ ცალო და ცრუ შეხედულებას ავრცელებენ ბოლშევიკებზე. იმათი მოწინააღმდეგე პარტიები.

## საზავო მოლაპარაკება ოსმალეთთან

სეიმის დელეგაცია ოსმალეთის დელეგატებს შეხვდა ქ. ტრაპიზონში.

ოსმალეთის დელეგატებმა გამოცდა მოახდინეს, თუ რამდენათ „მომწიფებულია“ ამიერ-კავკასია რუსეთისგან ჩამოშორებაში. დაიჭირა თუ არა ეგზამენი სეიმის დელეგაციამ, სჩანს შემდეგ ცნობებიდან, რომელიც მიიღო ამიერ-კავკასიის მთავრობამ სეიმის დელეგაციის თავმჯდომარე ა. ჩხენკელისაგან.

ოსმალეთის დელეგაციის წინადადება.

„ოტტომანის საიმპერატორო მთავრობის დელეგაციას პატივი აქვს განაცხადოს. რომ მის მთავრობას წრფელი სურვილი აქვს დაამყაროს კეთილ მეზობლური განწყობილება იმ რესპუბლიკასთან, რომელიც ახლა სდგება ამიერ-კავკასიაში. ოტტომანის დელეგაცია სთხოვს ამიერ-კავკასიის დელეგაციას გარკვევით გააცნოს მას აღნიშნული რესპუბლიკის პოლიტიკური და ადმინისტრატიული ორგანიზაციის ფორმა და ეკითხება შეასრულა თუ არა მან ის პირობები, რომლებსაც მოითხოვს რესპუბლიკის გამოცხადების დროს საერთაშორისო უფლება“.

სეიმის დელეგაციის პასუხი.

„ამიერ-კავკასიის პოლიტიკურ და ადმინისტრატიულ ორგანიზაციის ფორმა მორიგ საკითხათ აქვს დასმული ერთად-ერთ სრულ-უფლებიან ორგანოს, ამიერ-კავკასიის სეიმს, რომელიც შესდგა მთელი ამიერ-კავკასიის ერთა თავისუფალ ნებით, საყოველთაო არჩევნების ნიადაგზე.

იმ წუთიდან, რაც ბოლშევიკების მიერ რუსეთში გადატრიალება მოხდა (25 ოქტომბერს 1917 წ.) ამიერ-კავკასიის ტერიტორიაზე შესწყდა რუსეთის ცენტრალურ მთავრობის მოქმედება და შესდგა ახალი დამოუკიდებელი მთავრობა, რომელიც ეხლა პასუხისმგებელია სეიმის წინაშე ამიერ-კავკასიის მთავრობამ საერთაშორისო დამოკიდებულების სფეროში შესდგა ფეხი, მიიღო რა ოტტომანის მთავრობის წინადადება დაეწყო მასთან ზავის ჩამოსაგდებათ დამოუკიდებლათ მოლაპარაკება. შემდეგ სეიმმა და მთავრობამ ამ მხრით ნაბიჯი გადასდგეს, მებრძოლ სახელმწიფოთა საგარეო საქმეთა მინისტრებს საპროტესტო დეპეშები გაუგზავნეთ, ბრესტ-ლიტოვსკში შეკრულ ზავის და იმ ხელშეკრულების გამო, რომელიც მათ შეუტყობინებლათ მოხდა და ის სცნეს როგორც საერთაშორისო უფლებას მოკლებული და მათთვის არა სავალდებულო, ეხლანდელი ტრაპიზონის კონფერენცია აგრეთვე არის საერთაშორისო უფლებრივ ცხოვრების აქტი. ამგვარათ ამიერ-კავკასია, ფაქტიურათ უკვე დამოუკიდებელი სახელმწიფოა, თუმცა მას ამის შესახებ დეკლარაცია არ გამოუცია და სახელმწიფოებისთვის ნოტა არ გაუგზავნია დამოუკიდებლობის შესახებ.

ამიერ-კავკასიის დელეგაცია დიდის სიამოვნებით აღნიშნავს ოტტომანის მთავრობის წრფელ სურვილს დაამყაროს კეთილ მეზობლური განწყობილება ოსმალეთსა და ამიერ კავკასიის შორის და კმაყოფილი, იმედს აცხადებს, რომ საზავო კონფერენცია კეთილათ დაგვირგვინდება“.

## ბათუმის ამბები.

ამ. კავკას. კომისარიატი ცდილობდა, რომ რამენაირათ ჩაეგდო ხელში ფლოტის ნაწილი. ამისათვის, რასაკვირველია, ყოველგვარ საშვალებას მიმართავდა და ასეც მოხდა: სხვათა შორის ფლოტთან არსებობდა ეგრეთწოდებული ფლოტის დამცველი კომანდა, რომელშიც დებულობდენ განსაკუთრებით ბოლშევიკებს—ეს ცხადია, რადგანაც ფლოტი სახალხო კომისართა საბჭოს ემორჩილება და დამცველებიც იმ ორგანიზაციას უნდა გამოეყო, რომელიც კომ. საბჭოს სცნობს. ადგილობრივ კომანდაში იმყოფებოდა 250 კაცი (უმეტესობა გურიის ორგანიზაციებიდან), კომანდა თანდათან იზრდებოდა, რაც, რასაკვირველია, გდახა გუნებაზე აყენებდა ადგილობრივ ობორონცებს.

2 მარტს ღამით შემოარტყეს ალყა ფლოტის კომანდას პულემიოტებით, მაგრამ ვერას გახდენ—რადგანაც განგებ თუ არა პულემიოტისტებმა თურაში იყო საქმე, უარი სთქვეს და უკან გაბრუნდენ. 4 მარტს მოხდა მებრძოლ მატროსების კრება. კრებას დაესწრო 80. მატროსამდე. იყვნენ წარმომადგენლები ადგილობრივ სამხედრო რევოლ. კომიტეტიდან—სტეფანოვი და სოსიკო მდივანი, რომლებიც სთხოვდენ ფლოტი დარჩენილიყო და მიეღო მონაწილეობა „ობორონაში“. მატროსები კი მოითხოვდენ ახლავე დელეგაციის გაგზავნას „ცენტრო ფლოტში“, მხოლოდ პასუხის მიღებამდე ბათუმის დაცვაზე უარს ამბობდენ.

ბოლშევიკები კი მოითხოვდენ პასუხის მიღებამდი თუ საჭირო იქნებოდა „ობორონაში“ უნდა მიეღენ მონაწილეობა გაიდა მატროსების მიერ წამოყენებული წინადადება, რომელმაც 12 ხმა მიიღო მეტი ვიდრე ბოლშევიკებისამ. ამგვარათ იმ წამსვე გაიგზავნა დელეგაცია სევასტოპოლში, რომელსაც გაყვა ჩვენი წარმომადგენელი ბ. დომინაძე იმ მიზნით, რომ რამენაირათ გაეძლიერებიათ ბათუმში ფლოტი, რომელიც მიიღებდა მონაწილეობას ბათუმის თავდაცვაში. 5 მარტს დილის 4 საათზე დაიწყეს ბატარეებიდან სროლა. აღმოჩნდა, რომ „ნაბერეჟნი“ ქუჩა შეკრული იყო გვარდიელებით და დაიწყეს პულემიოტებიდანაც სროლა. მატროსები იძულებული იყვნენ დანებებოდნენ. დაიჭირეს რამოდენიმე მათგანი ერთმა ნაღმოსანმა მოასწრო გაქცევა. დაატყვევეს კრეისერი „კაროლ-კარლი“, სამი განმანადგურებელი ნავი და რამოდენიმე სავაჭრო გემები.

დამცველი კომანდა სროლის დროს ნეიტრალიტეტს იცავდა. შემდეგ გამოგზავნეს დელეგატი ჩაგვბარდითო—რაზედაც კომანდამ კატეგორიულათ უარი განაცხადა. მოლაპარაკებაში მონაწილეობას დებულობდა ნოე ჟორდანიაც კომანდამ განაცხადა: თუ მატროსები არიან დამნაშავე, ჩვენ თვითონ გავასამართლებთო ჩვენ იარაღს არ ავიყრით სანამ ცოცხალი ვართ. შეგიძლიათ დაიწყოთ სროლა, ჩვენ მზათ ვართო. ასეთი წინადადების შემდეგ მოწინააღმდეგენი იძულებულნი გახდენ თავი დაენებებინათ. კომანდამ გადასწყვიტა შეუერთდეს ფრონტში მდგომ პოლკს. ასეთ მოქმედებამ ადგილობრივ მთავრობას და ამ. კავკასიის მთავრობის შორის უკმაყოფილება ჩამოაგდო.

ბათუმის მცხოვრებნი ძალზე დაშფრთხალნი არიან თათრის შიშს ეხლა რუსეთის შიშიც დაემატა—ვინაიდან ეშინიათ, რომ „ცენტროფლოტი“ უყურადღებოთ არ დასტოვებს ასეთ მოქმედებას. სხვათაშორის 4 მარტს ამ. კომისარ. „ცენტროფლოტიდან“ მიიღო ასეთი რადიო: „მოგვაშველეთ ზეთი ნავთი. მაგიერათ წაიღეთ რამდენიც გინდათ პური“. ამის საპასუხოთ, უპასუხეს, რომ ნავთი არ აქვთო და გამოუცხადეს უკანასკნელათ ხმები გავრცელდა, რომ ძალა-უფლება ბათუმის ცნობილ ლიახოვს უნდა ჩაეგდოს ხელში. ეგიან კალედინის მომხრეების ბათუმში ბევრს შეხვდებით ოფიცერს რომელნიც კალედინთან იყვნენ.

ა. ურუშაძე.

## სალამი „ჩვენ ბრძოლას“.

8 მარტიდან ქ. ქუთაისში გამოდის ყოველ-დღიური გაზეთი „ჩვენი ბრძოლა“. ჩვენ ქუთათური მუშები მოვალენი ვართ, რაც შეიძლება ... ვეხმაროთ რედაქციას ჩვენი პატარა წვლილით და საშვალება მივსცეთ, რაც შეიძლება მოკლე ხანში გაზეთის ფორმატი გავადიდებოთ.

8 მარტი ქუთაისის მუშებისათვის და გლეხებისათვის აღსანიშნავ დღე უნდა ჩაითვალოს. დღემდის ჩვენ სოციალ-დემ. მეუმრავლესე მუშები და გლეხები ყოველივე საშვალებას მოკლებული ვიყავით, რომ თავისუფლათ მოგვეთქვა ჩვენი აზრი და შეხედულება ამა თუ იმ საკითხზე. პასუხი გაგვეცა იმ პარტიისათვის, რომელმაც ბურჟუა-კაპიტალისტებთან ხელი-ხელ ჩაკიდებით მთელი მშრომელთა კლასი უფსკრულის ნაპირამდე მიიყვანა.

მართალია თბილისში და სხვა ქალაქებში გამოდიოდა ჩვენი ინტერესების დამცველი გაზეთები, მაგრამ ზოგი რო ეს ერთი ის, რომ მენშევიზმით მოწამლულ ფოშტის მოხელეების წყალობით ქუთაისიდან გაგზავნილი კორესპონდენცია და სხვა რაიმე წერილი დანიშნულ ადგილამდე ვერ აღწევდა: ბოლოს თფილისის რედაქციებიც მიგვიკეტეს, რედაქცია და სტამბა დაბეჭდეს და სრულებით უგაზეთოთ დავრჩით.

აქედან ჩვენ ნათლათ ვხედავთ თუ სინამდი აღწევს მენშევიკების ბრძოლა ჩვენს წინააღმდეგ.

ამხანაგებო! ერთ წუთსაც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ გაზეთი ჩვენთვის ყველაზე უფრო უძლიერესი იარაღია მოწინააღმდეგეებთან საბრძოლველათ. მაშ. ამხანაგებო, დაუცხრომელი ბრძოლა მანამდის, სანამ არ გაიმარჯვებს პროლეტარიატი და მშრომელთა კლასი. სისხლის წვეთამდის დავიცვათ პროლეტარიატის სისხლით შეღებილი წითელი დროშა, რომელზედაც სწერია: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით“.

ამასთანავე გაზეთ „ჩვენი ბრძოლის“ სასარგებლოთ ვსწირავ 10 მანეთს. იმედია სხვა ამხანაგებიც გაიღებენ თავიანთ წვლილს.

ეუშა პარმანიძე.

კვირას 11 მარტს

დილის 10 საათზე, პარტიულ კლუბში (ყოფილი „პროვოდნიკის“ შენობა)

დ ა ნ ი შ ნ უ ლ ი ა

რ. ს.-დ. მ. პ. (ბოლშევიკების) პარტიული

## საზოგადო კრება

განსახილველია ფრიად საყურადღებო კითხვები.

ვთხოვთ ამხანაგებს აუცილებლათ დაესწრონ.

მსწრაფლ მბეჭდავი სტამბა ი. დ. ...ლაძისა—ქუთაისში.